# შრომა

## სურათებიანი დამატება

დამატების № 7 | ხუთშაბათი, 27 აპრილი, 1906 წ. | გაზეთის № 20.


### სამაისო სიზმარი

(მუშათა ცხოვრებიდან*).

II

— როგორაა საქმე? — სწრაფად ჰკითხა ფედორმა.

ესენი ფედორის ამხანაგები იყვნენ, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ იქაურ ქარხნის მუშების კასასა და მის საიდუმლო კავშირში.

— ჩინებულათაა! — გაახარეს მუშებმა. — ხვალ**) დიდებულ დღესასწაულს გავმართავთ, ორატორებიცა გვყავს და ყურის დამგდებიც ბლომათაა. 600-მდე კაცი მოიყრის თავს! — ტრაბახით განაცხადა ერთმა მუშამ — კაი ადგილი უნდა გამოვძებნოთ სადმე...

— ვიპოვნე, ადგილი ვიპოვნე, — გააწყვეტინა ფედორმა. — აიქ, ლურჯ ქვასთან, ჩინებული ადგილია. სიტყვების თქმაც შესანიშნავად შეიძლება. ქვა კათედრის მაგიერობას გასწევს.

— რა თქმა უნდა, წელს შარშანდელივით ხომ არ იქნება: შარშან 40 კაცი მოვიდა მხოლოდ მაისობა დღეს! ძალიან ძალა კი მოვიკრიბეთ ამ ერთის წლის განმავლობაში.

მუშები შეუდგნენ დაწვრილებით სჯა-ბაასს დღესასწაულის მოწყობაზე. ყველას აღფრთოვანება ეტყობოდა სახეზე: ხვალ ისინი იდღესასწაულებენ თავიანთს, — მუშების დღესასწაულს, შრომის დღესასწაულს, დღესასწაულს იმედისას...

ამ დროს მათთან მივიდა ერთი მუშა, რომელიც სრულებით არა ჰგავდა შესახედავათ დანარჩენებს. იმას ეცვა გახამებული პერანგი გალსტუხით, კარგა მორთული, ჭკვიანურის, გონიერის სახით ეს იყო ბელგიელი მუშა. ასე შუახნის კაცი იქნებოდა. აქა ისა და სხვა მისი ამხანაგები მოეწვიათ ელექტრონის ტრამვაის მასალის დასამზადებლად, როგორც გამოცდილები. ერთი ამ ბელგიელთაგანი ეს მუშაც იყო, არტცი სახელად. ჯერ კიდევ ბელგიაში ყოფნის დროს შეესწავლა რუსული ენა და მთავარი ორატორი იყო ტრამვაის გასაყვანად მომუშავე ამხანაგებში. ამხანაგ მუშებს უყვარდათ არტცი ცოცხალ, მხიარულ ხასიათისთვის, უყვარდათ ყურის დაგდება, როცა იგი ბელგიასა და ბელგიელ მუშებზე დაიწყებდა ხოლმე ლაპარაკს.

— ამხანაგებო, არტცი და მისი ამხანაგები უნდა დავპატიჟოთ ჩვენს დღესასწაულზე... უსათუოდ უნდა დავპატიჟოთ. დეე, დაგვათვალიერონ ერთი ბელგიელებმა; არც ჩვენა ვართ მთლად განწირულნი!

— უსათუოდ! უსათუოდ! — გაისმა გარეშემო.

— ბონჟურ კამარად***) — მხიარულად მიესალმა მუშებს არტცი. — ლუდს არ ისურვებთ? წავიდეთ, გადავკრათ.

— აი რა, — უთხრეს არტცს მუშებმა. — ჩვენ შენთან საქმე გვაქვს. ხვალ ხომ ჩვენი დღესასწაულია.

— ვიცი, ვიცი. ხვალ ჩემს ქვეყანაში დიდი დიდებული დღეა, — სთქვა მან და მისს სიტყვებში წუხილი გამოიხატა, რომ ამისთანა ბედნიერს დღეს იგი შორსაა თავის სამშობლო მაარისაგან. — ამის მეტი თავის დღეში პირველმაისობას სხვაგან არა ვყოფილვარ, სულ ჩვენში ვდღესასწაულობდი ხოლმე ამ დიდებულს დღეს...

— ჰო და შევხვდეთ ერთად დღესასწაულს, ერთად გავატაროთ ხვალინდელი დღე, ფიქრი ნუ გაქვს, არ მოგწყინდება ჩვენთან. წელს კარგათ ვართ მომზადებული და კარგათაც ვიდღესასწაულებთ.

— დიდი მანიფესტაცია გაიმართება? — შეეკითხა არტცი.

მუშებმა ერთმანეთს შეხედეს. იმათ წაეკითხათ, გაეგოთ კიდეც პირველ მაისის დღესასწაულობა საზღვარ გარეთ; გაგებული ჰქონდათ აგრეთვე, რომ იქ დიდი მანიფესტაციები იმართებოდა ხოლმე. არ იცოდნენ მხოლოდ რა სახელი ეწოდებინათ თავიანთ დღესასწაულისათვის. არ იცოდნენ შეეფერებოდა თუ არა ასეთი სახელი.

— მანიფესტაცია თუ გექნებათ-მეთქი, გეკითხებით — განუმეორა კითხვა ბელგიელმა, რომელიც ვერ მიმხვდარიყო მუშების სიჩუმეს.

— კი, კი გვექნება მანიფესტაცია, გვექნება და მერმე ისეთი, რომ!..

— საითკენ გაემართებით?

— საითკენ? არსაითკენ, ვიდღესასწაულებთ მხოლოდ, ვიდღესასწაულებთ.

— სად იდღესასწაულებთ? — გაკვირვებით ეკითხებოდა არტცი.

— ახ, რანაირი გაუგებარი რამა ხარ! აიქ, ტყეში ვიდღესასწაულებთ, ტყეში, ხომ ხედავ აიმ ტყეს, იქ გავმართავთ დღესასწაულს ლამპრებით, მშვენივრად, ჩინებულად!

მხოლოდ ახლა მოისაზრა, ეტყობოდა, ბელგიელმა რაშიაც იყო საქმე, და ისე გულწრფელად, ისე თავშეუკავებლად გადიხარხარა, რომ მუშები სახტად დარჩნენ.

— ჰა, ჰა, ჰა! — ხარხარებდა იგი. ოი, მიშველეთ, ვკვდები! ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — არტცს მუცელზე ხელი მოეჭირა და მზად იყო მიწაზე წამოგორებულიყო უზომო სიცილისაგან.

მუშები ჯერ სარივით გაშეშდნენ, შემდეგ ბოროტი გამომეტყველება დაეტყოთ სახეზე.

— რას ხარხარებ, შენ, ეი, ვილაც გადამთიელი ხარ?! — გაბოროტებით ჰკითხა, ბოლოს, ფედორის ჩოფურა ამხანაგმა. — რა ნახე სასაცილო?

— ოი, დედავ, მოვკვდი სიცილით... — უკანასკნელად ჩაილაპარაკა ბელგიელმა და მოიხოცა თვალებზე მომდგარი ცრემლები.

— რას იცინი? . — მუქარით შემოერტყნენ მუშები.

— დადექით!

— დადგომა ჩვენ უშენოდაც შეგვიძლია, — სთქვი, რას მიედ-მოედები, ან რას იღრიჯები! — არ უსვენებდა ჩოფურა.

— სთქვი, სთქვი, არ გესმის! აქ შენ ისეთები კი ნუ გგონია, რომ ყველაფერს მოგითმენენ, რასაც ჩაიდენ. ამას დახეთ, ერთი! — ისმოდა ყოველმხრიდან.

რა დაინახა ბელგიელმა მუშების მუქარა და ქადილი, თავი დაანება სიცილს. იმის სახეს აზრის მუშაობის კვალი აღბეჭდა.

— არა, ამხანაგებო, ასე არ ვდღესასწაულობთ ჩვენ; ტყეში არ ვიმალებით, ჩუმად არ ვდღესასწაულობთ პირველ მაისს! რა დღესასწაული იქნება ამისთანა დღესასწაული? არა, ჩვენი პირველი მაისი აშკარა, ყველასათვის თვალდანახული დღესასწაულია, იგი თავის სიდიადით შიშის ზარს სცემს სხვისი შრომით გამაძღართ, ყველა მყვლეფავს, მთელს ბურჟუაზიას, ჩვენ ამითი გვინდა ვამცნოთ, აშკარად დავანახვოთ ჩვენს მტერს ძრიელება ჩვენის არმიისა, პირველი მაისი აქ-

*) იხ. „დამატება“ № 5.

**) ე. ი. 18 აპრილს. რუსეთის მუშები პირველ მაისობას 18 აპრილს დღესასწაულობენ.

***) გამარჯობა ამხანაგებს!

# სამეგრელოს ცხოვრებიდან



ქაბალახის მოხვევა მეგრულად

რომს ბურჟუაზიისთვის გაზაფხულის მომხიბლავ სიმშვენიერესა და სიტკბოებას, ათი და ასი ათასიანი ჯარი მუშებისა, რომელნიც მწყობრათა და სიმღერით მიდიან ქუჩებში, კანკალს ჰგვრის მტანჯველს, ყველა მტერს მშრომელ ხალხისას; ჩვენ იმიტომ ვდღესასწაულობთ ამ ჩვენს დღესასწაულს ყოველ წლივ, რომ გამოვიყვანოთ და ქვეყნიერებას ვუჩვენოთ ჩვენი მებრძოლნი, რომელნიც მზად არიან უკანასკნელ წუთამდე დაიცვან თავიანთი უფლებები. იბრძოლონ იქამდე, სანამ გაზაფხულის მზე ყველასათვის ერთნაირად არ გამობრწყინდება, სანამ იგი არ ჩაანათებს ბნელს მაღაროებს, სადაც ასობით



შინაური მოწყობილება მეგრულ ოთახის.



მეგრელი მწყემსი

ილუპებიან ჩვენი ამხანაგები, სანამ მზის სინათლე არ გააქრობს, არ მოსპობს თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებულს უსამართლობას, სანამ იგი ძირიანად არ აღმოფხვრის იმ უკულმართობას, რომელმაც კაცობრიობა დაუქვემდებარა, დაუმორჩილა სიღარიბეს, სიმშილს, რომელმაც შეარცხვინა, ნამუსი აჰხადა ჩვენს ქალებსა და ჩვენს დებს. ამ დღეს მებრძოლთ მიაქვთ მუშათა კლასის დროშები; ამათ სახეზე ბურჟუაზია ჰკითხულობს, სიკვდილს, მოახლოვებულს სიკვდილს მათის ბატონობისას. ჩვენი ამხანაგები მიდიან თამამად და მშვიდად; არც პოლიციას, არც სხვა ვისმეს არ შეუძლია ხელი შეუშალოს ამ დიდებულ დღის აშკარად დღესასწაულობას?.. ეს ჩვენი უფლებაა, ჩვენ-მიერ ბრძოლით მოპოვებული უფლება...



მეგრული სასწორი.

მუშები უგდებდნენ ყურს ბელგიელის აღტაცებულს ლაპარაკს და მათ სულსა და გულს თანდათან მწუხარების ცეცხლი ედებოდა. ისეთის სიხარულით ემზადებოდნენ ისინი ტყეში დღესასწაულის გამართვასა და უცბად ეს უცხოელი გამოდის და ეუბნება, რომ ეს სრულებით ის არაა, რომ ამას სრულებით არა ჰქვიან დღესასწაული, რომ ხშირი ტყე ვერაფერი მორთულობაა შრომის დიდებულ დღესასწაულისა.

— ჟანდრები? სატუსაღოები? გადასახლება?—გამოფხიზლდნენ მუშები.—იცი შენ, რა არის ყველაფერი ეს? იცი?—მკაცრათ და წყენით ეკითხებოდნენ მუშები არტცს.

—- ვიცი, ვიცი! კარგად ვიცი, რომ თქვენ ისე გექცევიან, როგორც მაწანწალებს, როგორც მატყუარებსა და დამნაშავეთ. მაგრამ ამასთანავე ისიც ვიცი, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია. ჩვენშიაც იყო ისეთი დრო, როცა ჩვენ ადამიანებად არ გვაგდებდნენ, როცა მანქანა, პირუტყვი და ჩვენ-მუშები ერთის ფასისანი ვიყავით. მაგრამ ჩვენ არ გვეძინა, ვიბრძოდით და მივახწიეთ კიდეც მიზანს. მართალია, ბრძოლა საძნელო იყო, მაგრამ წყურვილმა ცხოვრებისამ, სურვილმა ადამიანად გადაქცევისამ, თავისი გაიტანა, პირუტყვებიდან ადამიანებად ვიქეცით და ადამიანში ხომ ძალაა! ახლა ჩვენს ქვეყანას მოელის ახალი წესწყობილება; თუმცა ბრძოლა დიდი სჭირია, თუმცა ჯერ შორსაა კიდევ დასასრული, მაგრამ უკვე ამოდის, უკვე იჩენს თავს ცისკარი იმ ახლა ცხოვრებისა, რომელშიაც ადამიანები ძმები არიან ერთიმეორისა.

სიჩუმე ჩამოვარდა... ამპარტავანი უცხოელი იცქირებოდა წინ და მისს სახეზე იხატებოდა დიდი რწმენა, დიდი იმედი მომავალ ცხოვრებისადმი!...

— მიამბე როგორ იბრძოდით, მიამბე სულყველაფერი არაფერი არ დამალო! სთხოვდნენ არტცს მუშები.

— კარქი, წავიდეთ ტრაქტირში...

მუშები ნელის ნაბიჯით გაემართნენ ტრაქტირისაკენ, იქ აირჩიეს ერთი მიჰალული კუთხე და გააბეს ბუსაიფი.

მუშები გულმოდგინეთ, გულდასმით უსმენდნენ მოლაპარაკეს. სიმამაცე კვლავ დაუბრუნდათ; თითქოს უფრო გარკვევით გაიგესო თავიანთი მდგომარეობა, თავიანთი მიზანი; თუ ბელგიელის სიცილმა წელან ბრაზი და მწუხარება დაჰბადა მათში, სამაგიეროდ, ეხლა ამ გრძნობის ადგილი დაიჭირა აუცილებელ შეუპოვარ ბრძოლის საჭიროების შეგნე-




მეგრელის ოთახი.




სამზარეულო სახლი.

ზამ, ისინი თანდათან იმსჭვალებოდნენ იმ აზრით, რომ ყოველი ღონისძიება იქნას ხმარებული უფლებების მოსაპოებლად. მათ წინ დამწკრივებულნი მიდიოდა მთელი რმზმები ბელგიელ ამხანაგებისა, რომელთაც უფლება უფლებაზე გამოეგლიჯათ გაბატონებულ კლასებისა და მათ წარმომადგენელთათვის, მათში იბრძოდა გრძნობა სიმამაცისა, მაგრდებოდა ენერგია და იმედი...

—

კარგა დაგვიანებული იყო, როცა ფედორი საღამოთი შინ დაბრუნდა, თავი დამძიმებოდა, ტვინში დაბადებულიყო მთელი გუნდი ახალ აზრებისა, რომელნიც ერთმანეთში არეულიყვნენ, აწეწილ-დაწეწილიყვნენ. როცა ფედორი თავის ოთახს მიუახლოვდა, მოაგონდა პროკლამაციები, რომელნიც უნდა დაეფანტა ხვალ დილით სახელოსნოებში, მაგრამ ამის გაფიქრება და დავიწყება ერთად მოხდა: ახლა თავში ბელგიელის ნაამბობი ჰქონდა სულ, მისი სიტყვები მოსვენებას არ აძლევდა. თითქოს ნამძინარევიაო, ისე შევიდა ოთახში, ყურადღებაც არ მიუქცევია ცოლის ბურდღულისათვის, ბელტივით დაეგდო ლოგინზე და მძიმედ, მკვდარივით ჩაეძინა.

III

სძინავს ფედორს და ძილში რაღაც ახირებულ სიზმარს ჰხედავს. მოდის ის ბელგიელი მუშა და მიჰყავს იგი თავის სამშობლოში, თავისუფლების ქვეყანაში,—ბელგიაში. ფედორიც გაჰყვება, გული უცახცახებს, თვალები გაუშტერებია, თითქოს სურთ გადასწვდნენ ყველაფერს, რასაც კი დაინახავენ, რასაც-კი მოასწრობენ ამ მუშების უფლებრივს ქვეყანაში, სადაც ხალხის რკინის ძალამ გასჭყლიტა დესპოტიზმის სამეფო და მოსპო ძალმოარეობა.

- მიჩვენე ყველაფერი, რაზედაც გვიამბობდი,—ჩუმად უჩურჩულებს ფედორი.

გაივლიან ბულ·ვარზე; ელექტრონის ტრამვაის ვაგონები მიჰქრის ამათ გვერდით, ყველა ქუჩა ასფალტითაა დაგებული, ყველგან სიწმინდეა, ვერსად ვერ დაინახავ ვერც მტვერსა, ვერც ნაგავს,—თითქო რაღაც უხილავი ძალა ჰყარაულობს და მაშინათვე აქრობს ქუჩებში გაჩენილ ტალახსო.

— აი ქუჩა „კანონისა“. აქ არის პარლამენტი, სადაც იკრიბებიან ხოლმე ხალხის წარმომადგენელნი, სჯა-ბაასობენ

და სცემენ კანონებს. წამო, შევიდეთ პარლამენტში, იქ სხდომა აქვთ ეხლა.

ისინი მივიდნენ მშვენიერს, დიდებულს შენობასთან. კარებში მეკარე იდგა, რომელმაც ზრდილობიანათ უჩვენა სხდომის დარბაზში შესასვლელი გზა, ისინი ავიდნენ ქანდარაზე, რომელიც ხალხისთვის იყო გამართული. ეს ქანდარა გარეშემო უვლიდა სხდომის დარბაზს, როგორც თეატრშია ხოლმე, აქ ჯდებოდა ხალხი სხდომების დროს და ყურს უგდებდა დეპუტატების კამათს. დაბლა სკამები იყო დეპუტატებისათვის, შუა ადგილას კედელთან სკამი პრეზიდენტისა, რომელიც ხელმძღვანელობს ხოლმე კამათის დროს. პრეზიდენტის სტოლთან ახლოს პატარა ტრიბუნა იყო, საიდან ორატორები სიტყვებს ამბობდნენ.

— უყურე: პირველ სკამებზე სხედან კათოლიკები. ეს კონსერვატორები,—ბურჟუაზიული პარტიაა, ეს ყველაზე დაუძინებელი და ბოროტი მტერია მუშა ხალხისა. შუა სკამებზე პროგრესისტები და ლიბერალები არიან. ესენიც ბურჟუაზიულ პარტიას ეკუთვნიან, მაგრამ მაგათ სჭირიათ ხოლმე ფართო პოლიტიკური თავისუფლება, ისინი თავგამოდებით იცავენ მას, და, რადგან პოლიტიკური თავისუფლება მუშებისთვისაცაა საჭირო, ვითარცა პურის ლუკმა, ამიტომ ისინი უერთდებიან პროგრესისტებს კათოლიკების დასამარცხებლად. მარცხენა სკამები უჭირავთ ჩვენს ძვირფას ამხანაგ მუშებს, რომელთა რიცხვი 33-ია და მატულობს ყოველ წლობით. ყველა საკითხი პარლამენტში ხმის უმეტესობით სწყდება. ხომ ხედავ, რა აუცილებელი საჭირო ყოფილა ჩვენთვის, რაც შეიძლება, მეტის წევრის გაყვანა პარლამენტში, რადგან საჭიროა, რომ ჩვენმა დეპუტატებმა არა მარტო წარადგინონ ჩვენი მოთხოვნები, არამედ გაიყვანონ კიდეც. აი, დაუგდე ყური, ლაპარაკობს ჩვენი გამოჩენილი ორატორი, მუშების დეპუტატი ვანდერველდი!

ფედორს, რაღაც მანქანებით, ესმოდა ყველაფერი, რასაც ფრანგულად ლაპარაკობდა ორატორი.

— ჩვენ ვითხოვთ,—ამბობდა იგი,—ანგარიშს შრომის მინისტრისაგან, ჩვენ ვითხოვთ, რომ მან პასუხი გაგვცეს, რათ მოექცა ეგრე მაღაროებში მომუშავე ჩვენს ამხანაგებს გაფიცვისათვის. კაპიტალისტებმა კანონი დაარღვიეს, მინისტრმა-კი, იმის მაგიერ, რომ დაეჭირა შრომის მხარე, შეესრულებინა თავისი მოვალეობა სამარცხვინოდ გადავიდა კაპიტალისტის მხარეზე და ამითი დაეცა მუშების თვალში. ჩვენ სოციალისტები და წარმომადგენელნი მუშებისა, ვერ მოვითმენთ კანონის ასე დარღვევას. ჩვენ ვითხოვთ, რომ მინისტრი კანონიერათა და სამართლიანად იქცეოდეს.

წამოდგა მინისტრი და თავისმართლება დაიწყო. მემარცხნეთა შორის ატყდა სიცილი და ხმაურობა. როცა ეს საკითხი გამოირკვა, პრეზიდენტმა შემდეგი საკითხი დააყენა გადასაწყვეტად. ეს საკითხი შეეხებოდა მეფის სასახლის შესანახად დამატებით ფულის გადადებას. კათოლიკები მხარს უჭერდნენ ფულის გადადებას. მუშების დეპუტატები და პროგრესისტები ერთხმად აცხადებდნენ პროტესტს. მუშათა პარტიის დეპუტატებმა მხურვალე სიტყვები წარმოსთქვეს მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. ტრიბუნაზე ხელახლა ვანდერველდი ავიდა. მან დიდხანს ილაპარაკა ბელგიის გაჭივრებაზე, მუშების ბინებზე, მათის შვილების მდგომარეობაზე და ასე დაასრულა თავისი სიტყვა: „ო, სირცხვილო! როცა ერისთვის საჭიროა ფული მუშა-ხალხის უპირველეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მაშინ მას წინადადებას აძლევენ, გაიღოს ფული პარაზიტების, სახელმწიფოსთვის ყოვლად გამოუსადეგარის ადამიანების სასარგებლოდ. დღეს თუ ხვალ პარლამენტში შეტანილი იქნება საკითხი იმის შესახებ, რომ მეფეს სრულიად მოესპოს ჯამაგირის ძლევა, თქვენ-კი მომატებას თხოულობთ, თქვენ მეფის სასახლის ლაქიებო!

მემარჯვენეთა შორის ატეხილმა ხმაურობამ გააწყვეტინა ორატორს.

— მე ვითხოვ, რომ არ გამაწყვეტინოთ: მე აქ მუშების უფლებების დამცველი ვარ და შევიძლებ დაგიმტკიცოთ, რომ ძალა ჩემსკენაა, ისეთი ძალა, რომელიც მუდამ მზად იქნება დაამოწმოს თავის დეპუტატის მოთხოვნები

ა. ღომთაძიძე

(შემდეგი იქნება).



გაძარცვამდის.



გაძარცვის შემდეგ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნ. დიასამიძე.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.

ვანქის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 37.